საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი [illegible]

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. [illegible]
4 „ 200,000 [illegible]
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 52 კვირა, ივლისის 15 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

ნინო ფინაზის ასული ფარესიშვილი, არჩილ დავითის ძე და თამარ იესეს ასული ფარესაშვილები შვილებით: დათა, ნინა, ქეთო, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტრაღიკულად დაღუპულ ქ. დუშეთში, პირველის უძვირფასესი შვილის, მეორესი უსაყვარელეს ძმის, მესამის ძვირფას მაზლის ხოლო უკანასკნელთა საყვარელ ბიძიას

**დიმიტრი (ტიტო) ფარესიშვილის**

ორი წლის გარდაცვალების თავზე, დღეს 15 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის გალავანში განსვენებულის საფლავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. 1—1

## საკონტრიბუციო საკითხი.

დღიდან ვერსალის ხელშეკრულებისა საკონტრიბუციო საკითხი ფართოდ დაისვა ომის პროცესში მონაწილე სახელმწიფოთათვის. გამარჯვებულებს უნდა მიეღოთ დამარცხებულთაგან „ზარალის ანაზღაურება“. ამ საკითხმა მას შემდეგ მრავალი საფეხური განვლო. დღესაც იგი მოწესრიგებული არ არის. ვერც ერთმა კონფერენციამ, ვერც ერთმა თათბირმა პრემიერებისამ, ვერ შესძლო გამოსავალის პოვნა. ევროპის პოლიტიკოსები ივიწყებდენ ყოველთვის იმ მარტივ ფილოსოფიას, რომ რის მიღებაც არ შეიძლება მას ვერავინ მიიღებს.

გერმანეთის ეკონომიური რესურსები ვერ აიტანდა კონტრიბუციის სიძნელეს. როგორადაც მონურ მორჩილებას არ იჩენდა გერმანეთის მთავრობა მოკავშირეთა მიმართ, იგი მაინც ვერ ახერხებდა კონტრიბუციის გადახდას. მოკავშირენი საერთოდ და საფრანგეთი კერძოდ მტკიცედ იდგნენ ვალდებულებათა შესრულების ნიადაგზე. მათ შორის მცირეოდენ უთანხმოებას თუ ქონდა ადგილი, მხოლოდ გადახდის მეთოდებში.

დღეს საფრანგეთმა უკვე იარაღით მოინდომა ვალდებულებათა განაღდება. რურის ოლქის დაკავებით იგი ცდილობდა „აენაზღაურებია ზარალი“, რომლის დამნაშავეთ ვერსალის ზავმა გერმანეთი აღიარა. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობა ამ ნიადაგზე. ჩვენ აღვნიშნავდით, თუ როგორ იყო განაწილებული მოქმედების სფეროები და რა უშლიდა ხელს ინგლისს დროებით გზა მიეცა საფრანგეთის თავხედური მხედრობისათვის რურში.

ეხლა ინგლისი უკვე მორჩა აღმოსავლეთის კომბინაციებს და მორიგ ამოცანად კონტრიბუციის საკითხი, უფრო სწორედ გერმანიის საკითხი აილო. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია ინგლისის მთავრობის განცხადება, რომელიც კერზონმა და ბალდვინმა გააკეთეს თემთა და ლორდთა პალატაში. მათი განცხადება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა შეთანხმებით მოქმედება. ამას მოითხოვს როგორც გერმანეთის, ისე ყველა ქვეყნის ინტერესები. ინგლისის მთავრობა სცნობს, რომ სანამ გერმანეთი არ გადიხდის კონტრიბუციებს ევროპის ეკონომიური აღდგენა შეუძლებელია. ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული მოკავშირეების მიერ. ინგლისის მთავრობა აღნიშნავს რომ ამ მიზნის მიღწევისათვის ოკუპაციის წარმოება არას შველის. იგი დასძენს, რომ „მოკავშირეებმა მიიღეს უფრო ნაკლები კონტრიბუციები, ვიდრე ოკუპაციამდე. ეს კონტრიბუციები იწვევენ გერმანეთის ეკონომიური სისტემის დაშლას, რამაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს მოკავშირეების მთელი ეკონომიური სისტემის დანგრევა“.

მტაცებლებისათვის ნათელი გახდა, რომ გერმანეთის ეკონომიური ცხოვრება „ქაოსისაკენ მიექანება“, რასაც მოყვება „სოციალური და ეკონომიური ნგრევა“.

როგორც მოსალოდნელი იყო დღეს ფაქტის საკითხია, რომ ევროპის სახელმწიფონი მეტად დაზარალდა რურის ოკუპაციით. ამ ფაქტს დღეს ინგლისის მთავრობაც არ მალავს. იგი აღნიშნავს, რომ **„გადამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ ქვეყნის აღდგენის საქმე საფრთხეშია და ევროპა ბეწვზედ ჰკიდია“.**

როგორ უნდა გადარჩეს „ბეწვზედ დაკიდებული“ ევროპა? რა ზომებს აყენებს ინგლისის მთავრობა? სად არის გამოსავალი?

ინგლისის მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას საკონტრიბუციო საკითხის შესახებ პროექტის შედგენისათვის. პროექტი ანგარიშს გაუწევს გერმანეთის ნოტას 7 ივნისის თარიღით, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო კომისიის დაარსებას გერმანეთის გადახდის უნარიანობის გამორკვევის შესახებ. ინგლისი დარწმუნებულია, რომ როგორც იტალეთი, რომელიც უკვე ეთანხმება ინგლისის თვალსაზრისს, ისე საფრანგეთი და ბელგიაც გამონახავენ შეთანხმების შესაძლეობას.

ცხადია, ინგლისის პოლიტიკა ერთი მხრით შედეგია საფრანგეთის ბატონობის შეზღუდვის მისწრაფებისა, მეორე მხრით იგი ანგარიშს უწევს შექმნილ მდგომარეობას და გონივრულ პროექტს ადგენს გერმანეთის გაცარცვისათვის. გერმანეთისათვის, როგორც საფრანგეთის, ისე ინგლისის პოლიტიკა გამანადგურებელია. მათ შორის განსხვავება მხოლოდ მეთოდებშია და არა მიზანში. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის პროექტი ვერ დაასრულებს კონტრიბუციის საკითხის გადაწყვეტას. გერმანეთის გაცარცვით შეუძლებელია მთელი კაპიტალისტური მეურნეობის დეპრესიის ლიკვიდაცია. გერმანეთს დიდი ეროვნული საფრთხე დაატყდა თავს და მხოლოდ მედგარ წინააღმდეგობას მოკავშირეებისადმი შეუძლია მისი გადარჩენა. ამ ბრძოლას ვერ აწარმოებს გერმანეთის ბურჟუაზია. გერმანეთის მშრომელ ხალხს ეკუთვნის სიტყვა გერმანეთის ხსნისათვის.

---

**ბაზეთი**
**„ტრიბუნის“**
**კანტორისაგან**

ივლისის 15-დან „ტრიბუნა“
ეღირება:
ცალკე ნომერი . . 75,000 მ.

---

## პრესა

გაზეთი „კომუნისტის“ № 159 ეხება მემამულეთა“ საჩივრების უსაფუძვლობას და სწერს:

„მიწის საკითხის დამკვრელი წესით გადაჭრამ მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ დიდი აურ-ზაური და გოდება გამოიწვია მემამულეთა ბანაკში, რომლებმაც ერთბაშად მორთეს წუწუნი და ჩივილი და მიწის კომისიების ვითომდა აღმაშფოთებელ და უსამართლო მოქმედების შესახებ.

შეძლებული კლასების შეხედულება სამართლიანობაზე სულ სხვაა მშრომელთა თვალსაზრისიდან; ის რაც მისაღებია და სამართლიანია დაჩაგრულთა და მშრომელთათვის, დიდ „უსამართლობას“ წარმოადგენს მეორე ბანაკისათვის და პირიქით, ერთი თვალსაზრისი ამ შემთხვევაში არ არსებობს და შეუძლებელია მჩაგვრელთა და ჩაგრულთა საერთო ენის გამონახვა. ამიტომ თავიდანვე მოსალოდნელი იყო მემამულეთა გოდება და ჩივილი მიწის კომისიების „უკანონო და უსამართლო“ მოქმედების შესახებ. მაგრამ ამის წინაშე მუშურ-გლეხური ხელისუფლება ვერ შეჩერდებოდა.

მემამულეთა აზრით, ხომ თვით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტები მიწის საკითხის შესახებ სრულებით მიუღებელი და კანონიერების საფუძველს მოკლებულია, მაგრამ მათი უარყოფა და არ ცნობა, რამდენადაც ისინი რესპუბლიკის უზენაესი ცენტრალური ორგანოს მიერ იყო გამომუშავებული, შეუძლებელი იყო. მათ მოთხოვნილებას და შეხედულებას, მუშურ-გლეხური დიქტატურის გამტარებელი ცენტრალური ორგანო, რასაკვირველია, ანგარიშს არ გაუწევდა და ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით უნაყოფო იქნებოდა. უფრო მიზანშეწონილი და ადვილი იყო ადგილობრივი მიწის კომისიებზე იერიშის მიტანა, მათ წინააღმდეგ ათასგვარი ბრალდებების და ცილისწამების წამოყენება.

„ბრწყინვალე წოდებისთვის“ და სოფლის „კულაკებისთვის“ წარმოუდგენელი იყო, რომ ასეთ დიდ საკითხს, როგორიცაა მიწადმფლობელობის ახალ საფუძველზე მოწყობა, თვითონ ღარიბი, უმიწაწყლო გლეხობის მიერ არჩეული კომისიები გადასწყვეტდენ. ამ კომისიის წევრებს ხომ განათლება და სპეციალური ცოდნა არ მიუღიათ მეფის მთავრობის პრივილეგიურ სასწავლებლებში და მემამულეთა აზრით მათ არ შეეძლოთ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა.

ხშირად მემამულეები იჟეთ ცილს სწამებენ და ისეთ ბრალდებას აყენებდენ განსაკუთრებით სათემო და სასოფლო მიწის კომისიების წინააღმდეგ, რომ საჭირო იყო შემოწმება და შემოწმების შედეგი სააშკარაოზე გამოტანა. ეს საჩივრები, რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლო და მიუღებელი იყო. თითქმის ყველგან, სადაც კი ასეთი გამოკვლევა მოხდა მიწადმოქმედების კომისარიატის, თუ სამაზრო აღმასკომების მიერ, აღმოჩნდა მემამულეთა საჩივრების სრული უსაფუძვლობა.“

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს შორაპნის მაზრის მემამულეების საჩივრის უსაფუძლობას და განაგრძობს:

„ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს იმ აზრს, რომ ადგილობრივ მიწის კომისიების მოქმედება უმრავლეს შემთხვევებში საბჭოთა კანონიერების ფარგლებში მიმდინარეობდა და სრულებით შეეფერებოდა ღარიბი გლეხობის სურვილებს. მემამულეთა უკმაყოფილება სრულებით არ აბათილებს ამ კომისიების ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც მიმართული იყო სოფლად აგრარული რევოლიუციის დამკვრელი წესით ჩატარებისაკენ. სიჩქარისა და დაწვრილებითი გამოკვლევის უქონლობის გამო, შესაძლებელია ზოგიერთ სოფლებში ჰქონდა ადგილი უმნიშვნელო შეცდომებს, მაგრამ საერთოდ აგრარული რევოლიუცია საქართველოში ჩატარდა, როგორც ეს შეფერის საბჭოთა წესწყობილებას და მის მიერ გამომუშავებულ მიწის კანონებს“.

მიწის საკითხის გადაჭრა და გატარება იმ სახით, როგორადაც ის სისრულეში არის მოყვანილი შეადგენდა ჩვენი პარტიის ერთ უმთავრეს მიზანთაგანს სოციალური პოლიტიკის სფეროში. მეტად დიდი ეკონომიური, პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობის აქტი არის აგრარული რევოლიუციის ჩატარება. მემამულეთა ამოკვნესა და მემარჯვენე პარტიათა სისინი ვერ შეარყევს ამ ფაქტის დიდ ღირებულებას. ჩვენმა გლეხმა მიიღო მიწა, რაც მას ეკუთვნოდა სამართლიანად. იგი მოკლებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მაგრამ ამ მხრივაც საქმეს გამოასწორებს თავდადებული მუშაობა.

საქართველოს აღორძინება იწყება არა ცრუ-პატრიოტულ ფრაზებით, არამედ ქართველი ხალხის უმრავლესობის, გლეხობის ეკონომიურად და სოციალურად ამაღლებით.

საქართველოს ფუძე ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობა და გლეხის მარჯვენაა. ინტენსიური მეურნეობის ზრდა, გლეხის წელში გამართვა, ჩვენი ქვეყნის პროგრესის უტყუარი პირობაა.

მემარჯვენე ფედერალისტები ფედერაციასა და სოციალიზაციას გაჰკიოდენ დღეს მათ არც პირველი უნდათ და არც მეორე.

---

## გიორგი სიხარულიძე

(ბიოგრაფიული ცნობები)

(დასასრული*)

გიორგიმ, ოსმა და მეგრელმა იბრუნეს პირი ქალაქისაკენ, რათა გაეგოთ საქმის ვითარება. გზაში მდინარე გადაეღობათ, გაიხადეს ფეხზე და გავიდნენ წყალში. იქვე მიჯდენ და ისევ ჩაცმა დაიწყეს. ამ დროს მგზავრები მოდის და მოლაპარაკობენ, რომ ევროპიდან მთელი ფოთი იარაღით აავსესო, იარაღის თაობაზე ს.-ფედერალისტებს და ს.-დემ. ჩხუბი მოსვლიათ, თოფები უსვრიათ, ეს გაუგია პოლიციას და ალყა შემოურტყამს ქალაქისათვისო. ამის გაგონებაზე გიორგის თავზარი ეცემა და არ იცის რა ქნას. ამასთან ერთად ისმის ქალაქში და მის გარშემო თოფის სროლა. ჯარის კაცებიც ნაპირზე დაძრწიან და საქმე ეტყობა გართულებულია. გიორგიმ და მისმა ამხანაგებმა გადასწყვიტეს ქალაქში შესვლა, ზოგი ვაჭრის სახელს ირქმევს და ზოგი რას. ერთი სიტყვით მზად არიან პასუხისათვის. მათ გზაში კიდევ მგზავრები ხვდებიან, რომლებიც ეუბნებიან მათ, რომ კომიტეტმა ქალაქი გაუგზავნა პოლიციმეისტერს ალყა მოხსენი ქალაქს თორემ ამ აუარებელი იარაღით მთელ ხალხს შევაიარაღებთ და მთავრობის წევრებს ამოგხოცავთო. პოლიციმეისტერს მართლა შეშინებია და ალყა მოუხსნია. გიორგი ქალაქში შედის. ის გამურულია პირზე და კისერზე ნახშირით, გარეთ კი ევროპიულათ არის ჩაცმული, შედის სადალაქოში, 22 დღის ნამგზავრები წვერს იპარსავს, თავს იბანს. ამ დროს პარიკმახერი მას დეტალურად უამბობს ყველა იმ საიდუმლოებებს, რომელიც მხოლოთ პარტიის მეტს არავის არ უნდა სცოდნოდა. გიორგი გულ მოკლული ამ ამბით ბულვარში მიდის. მას ხვდება ნაცნობი და ის მიყავს სადღაც კრებაზე კრება საჯარო და არა კონსპირატიული. გიორგის ერთ ოთახში სთხოვენ მოხსენების გაკეთებას. უკვე ყველამ იცის. რომ იარაღი მას მოუტანია და ამბავი აინტერესებსთ. გიორგი მათ არასფერს არ ეუბნება მხოლოდ ურჩევს თუ შეგიძლიათ ქალაქის კატერი ჩაიგდეთ ხელში და ეხლავ გაგზავნეთ გემთან დანარჩენ იარაღის გადმოსატანათო და მე კი აქ გაჩერება არ შემიძლიაო“, გიორგი მიდის სადგურზე, მას აძლევენ ამხანაგები ბილეთს და ჯდება ვაგონში. ამ დროს მიდის მასთან ვიღაც უცნობი და ჯიბეში რაღაცას ჩუმად უდებს. გიორგი იღებს ჯიბიდან წიგნაკს და ნახულობს პასპორტს. სწავლობს მას და ისევ ჯიბაში იდებს. ფოთის ნავთსადგურის კატერი ხელში ჩაუგდია ჟანდრებს და პოლიციელებს. ის წასულა „სირიუსის“ დასაჭერად. კაპიტანს რო დაუნახავს ის გახარებია, გიორგიმ თავისი დაპირება შეასრულაო. მაგრამ ამ კატერს „სირიუსიზა“ სალამი არ მიუცია და რაღაც სამარი ნიშნები უჩვენებია. მაშინ კაპიტანი მიმხვდარა თუ რაშიც იყო საქმე. მოუბრუნებია პირი და გაქანებულა. კატერი მას დადევნებია. კაპიტანს უბრძანებია საჩქაროთ იარაღის წყალში გადაყრა. ასე ამ რიგათ, მთელი იარაღი რამოდენიმე საათის განმავლობაში ზღვის უფსკრულში იყო. ზღვაში იმართება ნამდვილი დუელი „სირიუსსა“ და ჟანდარმერიის კატერის შორის. დევნა დიდხანს გრძელდება, მაგრამ „სირიუსს“ შველის დაყრილი ბურუსი. ის ფანდს უკეთებს კატერს. გამართულ ხაზზე მიმცურავი წინ და უკან ორივე გემი სწრაფად მიემართებიან. მაგრამ „სირიუსი“ სწორ კუთხედ მობრუნდება, გვერდზე უხვევს და კატერს წინ უშვებს. კატერი ამას ვერ ამჩნევს და შორს მიდის, „სირიუსი“ კი ჩერდება. გადარჩება თუ არა ის მიემართება რუმინიში, ნავთსადგურ გალატში.

აი უშესანიშნავესი ეპიზოდი განსვენებულ გიორგის ცხოვრებიდან. გიორგი ტფილისში მიდის და მუშაობს უკვე მთავარ კომიტეტში ოთხი წლის განმავლობაში. ყოველი საორგანიზაციო და პრაქტიკული საკითხები და მუშაობა მის ზურგზე გადადის. ის ხან კახეთშია, ხან ქართლში და ხან გურიაში. მას კახელები იცნობენ როგორც გიორგი გურულს, ვინაიდან გიორგი სხვის გვარზე სცხოვრობდა პოლიციის შიშით. პოლიცია მას დაეძებს და სხვადასხვა ალაგებში ახდენს ჩხრეკას და თავდასხმას. პოლიციამ იცის, რომ იარაღი ევროპიდან გიორგი სიხარულიძემ გამოიტანა, მას უთვალთვალებენ, მაგრამ გიორგი მათ ხელში არ უვარდება. ამ დროს სოფელ ამაღლებაში კვდება სხვა გიორგი სიხარულიძე. ამის შესახებ ერთი გაზეთი შარჟს ათავსებს და სწერს „მოკვდა გიორგი სიხარულიძე ამაღლებაში და ნუ თუ კიდევ გაგრძელდება მისი ძებნაო. აწი მაინც არასფერი დარჩომია პოლიციას საძებარიო“. ამ გარემოებამ პოლიციას გზა კვალი აუბნია და გიორგის ოდნავ აალდინა.

დაახლოვებით 1911 წ. გიორგი დაღლილი და მოქანცული მუდმივი მუშაობიდან სამტრედიაში ბრუნდება. ის პირველ ხანებში განაგრძობს არა ლეგალურად ცხოვრებას, მაგრამ სხვადასხვა ნაცნობების და პირთა დახმარებით ახდენს თავისი ლეგალიზაციას. ამის შემდგომ ის უბრუნდება საზოგადო საქმეებს, უბრუნდება საზოგადო მოღვაწეობას, ის მოსვენებას მხოლოთ საზოგადო საქმეების კეთებაში პოულობდა. ხან ქალაქის დეპუტატი, ხან დელეგატი, ხან რა და ხან რა. ის აქვე უდგება სათავეში ქართველთა შორის წერა კითხვის საზოგადოებას, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ ირიცხება რამოდენიმე წელს. მისი ხელმძღვანელობით შენდება პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის შენობა. მას ირჩევენ სამტრედიის ვაჭართა ნდობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ, რომელ საზოგადოების მთავარ ხელმძღვანელად ითვლება. 18—20 წლამდე მუშაობს სამტრედიის ქალაქის თვითმართველობაში ხმოსნათ. ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობს სამტრედიის საზოგადო საკრებულოს დარბაზის აშენებაში, ძმებითურთ ამ შენობისათვის უთმობს ასაშენებელ მიწას. უკანასკნელ ხანებში მას ირჩევენ მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარედ. დღეს ამ შენობაში [illegible]ებულია

*) იხ. „ტრიბუნა“ № 521

მუსიკალური სასწავლებელი. სცენაზე მისი თამაში სამტრედიაში ხომ მუდმივი იყო და ყველა მას მიმართავდა ხოლმე საშველად, როცა რამე ვისმე სასარგებლოდ იდგმებოდა. მის ენერგიაში ყველა დარწმუნებული იყო, მას ნდობის თვალით უყურებდა ყველა დროის მთავრობა საზოგადო საქმეში. საბჭოთა ხელისუფლებამ მას ჩააბარა მთელ დასავლეთ საქართველოს პარკის მიღებისა და მოვლის საქმე, რომელსაც ის პირნათლად ასრულებდა და მისი საქმიანობა მთავრობისათვის სამაგალითო იყო. განსვენებული სამტრედიის საბჭომ აირჩია ტეხნიკუმის მთავარ მომუშავე-ხელმძღვანელათ, ალმასკომი და საბჭო მასზე ამყარებდა დიდ იმედებს.

ამ მუშაობის შესახებ ის ამბობდა: „შეიძლება ამ დიდ საქმეში ვპოვო მე მოსვენებაო, როგორადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს საქმე კეთილად დავამთავროთ, დეე ბევრი „შესწუხდეს, შევიწროვდეს გადასახადებისაგან, დეე იყაყანონ ჩვენზე, ოღონდ ავაშენოთ ეს საშვილიშვილო შენობა, გაივლის სამდურავი, გაივლის ტკივილები და სამტრედიის საზოგადოებას ეს ძვირფასი შენობა ხელში ექნებაო.“

ასეთი იყო განსვენებული საზოგადო საქმეებში. მაგრამ მას არ დააცადეს ეს საქმე, არ მისცეს მას საშუალება, რომ ამ საქმეს ჩადგომოდა სათავეში და ეხელმძღვანელებია მისთვის. მან ამ საქმეში სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო ისე დაუბნელა ბოროტმა ხელმა მას დღე.

ის ვერაგულად, ღამით, წყლის პირად, ნადირობის დროს მუხანათურად ხელით ჩაათრიეს წყალში და შიგ ჩაახრჩვეს. ვკითხულობთ რისთვის და რათა? რას ერჩოდენ? რას ერჩოდენ მუდამ დინჯს, დარბაისელ, უწყინარ და ფრთხილ ადამიანს? მისგან ნაწყენინები, მისგან გალანძღული, მისგან შეგინებული ან დასჯილი კაცი არავის უნახავს. ძალიანიც რომ გდომოდათ, მის გაჯავრებას ვერ შესძლებდით. მაშ რა იყო მიზეზი მისი ვერაგულად დახრჩობისა? ყოველივე ბუნდოვანებითაა დაცული. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვეყანაზე არასფერი არ დაიმალება, გამოძიება და მართლმსაჯულება ამ ამ ვერაგ ადამიანებს შესაფერის ჯილდოს მიუზღობს და მით აღშფოთებულ გულს საზოგადოებისას დააწყნარებს და დააკმაყოფილებს.

ასე დასრულდა სიცოცხლე ყველა პატიოსან ადამიანისთვის ძვირფასი პიროვნებისა, ასე ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ადამიანი მოსტაცეს სამტრედიის საზოგადოებას, რომლის მაგიერი ჯერ მას არ ჰყავს. ასე გამოგლიჯეს მის საყვარელ ცოლშვილს მისი თავი და არ მოასწრეს მას მისი შვილების პატრონობა და მათი ბედნიერების მოსწრება. მაგრამ ჩვენ მაინც ტკბილად მოვიგონებთ ამ ძვირფას ადამიანს და მისი კეთილი ხსოვნა და ხსენება სამუდამო იქნება ჩვენში.

განისვენე ძვირფასო ადამიანო, გიორგი, დეე არ დამიწდეს შენი ნალვაწი, მსუბუქი იყოს შენს ტანჯულ სხეულზე სველი მიწა და იხსენიებოდე ამ ქვეყანას შეუგინებლად.

ბ. ფარცვანია.

# ახალი ამბები

ტფილისში ჩამოვიდა როსტოვის მუშფაკის მსმენელები, რიცხვით 30 კაცი. ტფილისის დათვალიერების შემდეგ ექსკურსია მიემგზავრება ბორჯომში, ჩაქვში და ბათომში.

— **ჩათახის ქარხანა** მალე მიიღებს გერმანიიდან საჭირო იარაღებს და მანქანებს.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ სახელმწ. უნივერსიტეტის თხოვნის თანახმად შუამდგომლობა აღძრა რუსეთის სახელმწ. გამომცემლობის წინაშე, რათა მან სისტემატიურათ გამოუგზავნოს ხოლმე ყველა მის მიერ გამოცემული სამეცნიერო წიგნები. ან უფასოთ ან ფასდაკლებით მაინც.

— **ტფილისში** გავრცელებულია ხმები, ვითომც მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გადადებულიყოს. საქართველოს საგამომფენო კომიტეტი, აუწყებს ყველას, რომ გამოფენა მოსკოვში შესდგება დანიშნულ დღეს, 15 აგვისტოს.

— **ტან-ვარჯიშობა საქართველოში.** პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკის ყოველ კუთხეში მოწყობილ იქნება წრეები და უჯრედები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ფიზიკურ კულტურის განვითარებას საქართველოში.

— **სამხატვრო ინსტიტუტი.** ამ დღეებში ტფ. გაიხსნა სამხატვრო ინსტიტუტი. მსმენელთა რიცხვი უდრის 400 კაცს.

# ამხ. კამოს სახელის უკვდავ საყოფად ტფილისის აღმასკომმა გააკეთა შემდეგი

ამხ. კამო გარდაიცვალა 1922 წ. 14 ივლისს ღამით. ამავე 1922 წელს პრეზიდიუმის დადგენილებით 2 ნოემბრიდან № 42 § 1 მუხ. 3 გარდაქმეული იქმნა ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა მისი სახელობაზე. 1922 წ. 23 დეკემბრის № 7 § 4 დადგენილებით პრეზიდიუმში დასმული და გადაწყვეტილი იქმნა საკითხი ამხ. კამოს საფლავზე ძეგლის დადგმის შესახებ და გამოცხადდა პროექტის კონკურსი.

ა. წ. 3 მარტს დანიშნული იქმნა კომისია შემადგენლობით: სამხატვრო აკადემიის პროფესორების გ. ი. გაბაშვილის, თედორე გებრიხის, გრინევსკის და ალმასკომის პრეზიდიუმის წევრების: ამხ. ამხ. კახიანის, მესხის, ლლონტის, რუხაძის, თაქთაქიშვილის, ჟღენტის და მინასიანცის, რომელმაც განიხილა ამხ. კამოს ძეგლის პროექტები, წარმოდგენილი შემდეგ დივიზებით: „მოსკოველი“, „ქვის მტეხელი“, „ევკა“, „ტერორი“, „წითელი გვირგვინი“, „ჩაქუჩი“ და „ომაკ“, ყველა წარმოდგენილი პროექტებიდან კომპოზიციისა დ შავ ჩაქსოვილი იდეის მიხედვით დ აგრეთვე თავის ტეხნიკური თვისებებით ყველა უფრო მისაღები იქმნა ნამუშევარი „ომაკის“ დივიზის წოდებით, რომელიც სცნო კომისიამ დაეჯილდოვებია პირველი ხარისხის ჯილოთი. კომისიამ დაადგინა გაეხსნა კონვერტი, რომლის ავტორი აღმოჩნდა სახალხო მოქანდაკე [illegible] ნიკოლაძე. „ომაკის“ ძეგლის ესკიზი [illegible] ამხ. კამოს იმ დროს, როდესაც ის იბრძვის პროლეტარიატის განთავისუფლებლათ, უკან მისდევენ თავის ბელადს მუშები, [illegible] დაუჭირონ თავის [illegible]. კვარცხბეკზე გამო[illegible], [illegible] განსახიერებულია უდიდესი ღრმმა მძიმე მუშაობისა. კვარცხბეკზე სხვა და სხვა ემბლემების დეკორატიული გამოსახვა შეიძლება შეთანხმებით დამუშავდეს. ძეგლის სიმაღლე ოთხ არშინ ნახევარი. გარდა ამისა ალმასკომის სახალხო განათლების მიერ ამხ. კამოს სახელი უწოდა მე-9-რე და წყნეთის საბავშვო სახლებს.

# საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიაში

მას შემდე, რაც ობსერვატორიამ საჭირო თანხა მიიღო, მისი განყოფილებების მუშაობა თანდათან გაცხოველდა. მაგალითად ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში საერთოდ ობსერვატორიის მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

1) მოწყობილი იქნა პირველად დროის სისწორით მიწოდება და ამ ჟამად ობსერვატორიის ნორმალური საათი სისტემატიურად სწორდება ასტრონომიული მეთოდით.

ქალაქში დროის სისწორით საჩვენებლად შეძენილია 6 საათი, რომელნიც მოთავსებულნი იქნებიან საზოგადო სარგებლობის მიზნით დიდ ქუჩებში და სახელმწიფო დაწესებულებებში.

2) რეორგანიზაციის მოხდენის შემდეგ ჰაეროლოგიურ ქვეგანყოფილებამ განაახლა მუშაობა, რომელიც დაუქმებული იყო 1916 წლიდან, ე. ი. 7 წლის განმავლობაში და ახლო ხანში დაიწყებს თოკის მიბმულ ჰაეროსტატების აშვებას თვითმწერელი მანქანებით ჰაეროლოგიურ გამოკვლევათა საწარმოებლად.

3) აღდგენილია ყოველთვიური ბიულეტენების ქვე-განყოფილება. უკვე გადაცემულია დასაბეჭდათ ყოველთვიური ბიულეტენი 6 ნომერი 1916 წლისა და 3 ნომერი 1923 წლის, რომლებიც გამოვა ერთი თვის განმავლობაში.

4) აგრეთვე მოწესრიგებულია სინოპტიური განყოფილება, რომლის საშუალებით სინოპტიური რუქები, მეტოროლოგიური ბიულეტენები და ევროპისა და საქართველოს ამინდის მიმოხილვები ყოველდღე იკიდება ობსერვატორიის კარებთან და სახელმწ. უნივერსიტეტის ფიზიკო-მექანიკოსის ა. მიულმანის სახელოსნო ვიტრინაში. (ყოფ. სამხედრო სამინ. პირდაპირ). საჭიროა ასეთი რუქები ქვეყნდებოდეს ადგილობრივ გაზეთებშიც.

5) რაც შეეხება ამინდის წინასარმეტყველებას, ისიც უკვე სავსებით მოწესრიგებულია, მაგრამ ვინაიდან ტელეგრაფიული ცნობები არ მოდის წესიერად, ჯერჯერობით არ ქვეყნდება. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის დახმარებით უკვე გაყვანილია ობსერვატორიის სპეციალური ტელეგრაფიული ხაზი და ამ დღეებში ობსერვატორია უმეშვეოდ დაუკავშირდება ტელეგრაფს, რის შემდეგ ამინდის წინასარმეტყველებანი 36 საათით ადრე, სისტემატიურად იქნებიან გამოქვეყნებულნი. ამასთან დამოუკიდებლათ ამინდის წინასარმეტყველებები უკვე ეძლევათ იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც ექსკურსიებს აწყობენ და ამინდის წინდაწინვე გასაგებათ მიმართავენ ობსრევატორიას.

6) ტფილისის და ბათომის შუა საჰაერო მიმოსვლის მომწყობ გერმანული ფირმის „იუნკერს“-ის თხოვნით კვირაში ორჯერ ჰაეროპლანის გაფრენის ნახ. საათით წინ, მას ეცნობება ამინდის მდგომარეობა ჰაეროპლანის მარშრუტის ხაზზე.

7) ქსელის განყოფილების აღდგენა ყველაზე ძნელია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მეტეოროლიგიური ქსელის სადგურების აღდგენასთან, რომელიც საჭიროებს დიდ ხარჯებს. ამ მიზნით სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინა ვრცელი მოხსენება მეტეოროლოგიური სადგურების შესანახათ. ამასთან დამოუკიდებლივ 2 თვის განმავლობაში მოხერხდა ცხრა სადგურის აღდგენა, რომელთაგან ერთი დასაყრდნობია (ქუთაისში). ამ დღეებში ამუშავდება კიდევ რკინის გზის 5 სადგური. იმნაირად საქართველოს რესპუბლიკის 111 სადგურიდან ორი თვის წინად მუშაობდა 28 სადგური, ხოლო ამ ჟამად მათი რიცხვი გაიზარდა 42 მდის.

8) სეისმიური განყოფილებაც ამუშავდა: ამ ჟამად ყველა სეისმოგრაფები სრულიად დამაკმაყოფილებლად მუშაობს. რაც შეეხება გოლიცინის აპერიოდულ მანქანებს, მათი ოპტიური ნაწილი სავსებით მოწესრიგებულია და ცდებმა სასურველი შედეგები მოგვცა, აკლია მხოლოდ ფოტოგრაფიული ქაღალდი, რომელიც განათლების კომისარიატმა საზღვარგარეთიდან უკვე გამოიწერა. სწარმოებს ცდები აღნიშნული ქაღალდის ადგილობრივ დასამზადებლათ.

9) სამაგნიტო განყოფილება სოფ. კარსალში: ა) ედელმანის მაგნიტოგრაფების ყველა ხელსაწყო გასუფთავებულია, (ორ მათგანს გაუკეთდა ახალი

# თეატრი და ექსპრესიონიზმი

1 სათავეები*)

თეატრი უურთულესი ფენომენია ხელოვნებაში.

სამი უმთავრესი ელემენტი: დრამატურგი, არტისტი, მაყურებელი. არტისტი ის კაცია, რომელიც ჰქმნის, როცა მას უყურებენ,

დრამატურგი—კაცი რომელიც მაშინ ჰქმნის, როცა მას არ უყურებენ.

მაყურებელი ბრბო საოცარი ქიმიური ჯამი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტები. დიდი არტისტი ამ ქიმიურ ჯამის გაკარებით ენთება. დრამატურგი გულისხმობს თეატრალურ ბრბოს. არტისტი მას თვალ წინ უნდა ხედავდეს.

როგორც მთელი თეატრალური ნომინკლანტურა ისე დრამაც ბერძნულია.

საგულისხმოა: იგი წარმოსდგება სიტყვიდან „დრაო“. მოქმედება. ქცევა და არა ამბავი.

**დრამის სათავე უცილოდ რელიგიოზურ კულტშია საძებარი. იგი თემური მოქცევაა თავისთავად.**

დრამა უურთულესი სახეა პოეზიის. დრამატურგი—პოეტი კატეგორიაში ხვდება. ბერძნების პრიმიტიული დრამა—მიმუს წარმოდგენა, მიბაძვაა. მიმუსი გვხვდება როგორც უკულტურო ისე მაღალ კულტუროსან ერების ცხოვრებაში.

პირველ სახიობა—urdrama მრავალსახოვანია; მიმური ქცევა როკვითი ხასიათისა იყო. პირველყოფილი დრამა ალაგ-ალაგ მუსიკალურ ქორალურ ელემენტებს ემყარება, ხანაც მიმიურ-პანტომიმურს იშველიებს. urdrama-ს ნიშნები მოეპოვებათ აუსტრალიელებს, ბუშმენებს, ესკიმოსთ, ინგლისში, ისლანდიაში, დანიაშიც ვხვდებით დღესაც როკვითი პანტომიმას.

მიმიუ-ქცევითი ელემენტი თანამედროვე სინემას სახით ვოკალურ ელემენტს უპირებს გაძევებას.

ჰაინე ცეკვას ფეხებით ლოცვას ეძახდა. ცეკვა რიტმიული აღტყინებაა ადამიანის. ცეკვის დასაბამიც რელიოგიოზურ ექზალტაციაშია მოცემული ხანაც სექსუალურ სიცოფეში

მიმიური მიბაძვა **ხზვად ქცევის სურვილი უთუოდ მეტაფიზიკური მოქცევაა.** ველურების ცეკვითი პანტომიმის პერსონაჟი—ცხოველებია. ჰოპინდიანები თავიანთ როკვითი პანტომიმებში ღრუბლების დემონებსაც წარმოადგენენ. დემონებს წვიმების სადავეები უპყრიათ ხელში. ასეთივეა რომაული ლუპერკალიები-საგაზაფხულო მასკარადები. პრეისტორიულ საბერძნეთში დიონისოს კულტს უკავშირდება ტრაგოედია—ვაცების სიმღერა. ეს მაინც არ გულისხმობს რომ დრამას მარტოოდენ მისტიურრელიგიოზური საფუძველი ჰქონდეს. თუ ველურები ავსულებსა და დემონებს ანსახიერებენ პანტომიმებში, ანტიური ტრაგოედია—პატარა დემონებს, სატირებს, უმთავრესად თრაკიულ ღმერთს დიონისოს. რელიგიურ-მითიური მიმი ღვთაებას უკავშირდება. იგი განპიროვნებულ ღვთაების ვნებათა გამომსახველია. მიმუს წყობილსიტყვას—დითირამბს იშველიებს. დიონისოს კულტში იხატება წამება და აკუწვა. ბოლოს მისი მკვდრეთით აღდგომა—ხელმეორედ შობა. დიონისოს კულტში ღვთაების განკაცებაა მოცემული. დიონისოს კულტსა და ატიურ ტრაგოედიის კავშირი ჯერაც დაუსრულებელ დავას იწვევს. არისტოტელეს ტრაგოედიას დითირამბს უკავშირებს. (ვილამოვიცი) დითირამბუს—ღმერთდალეული ადამიანის სიმღერაა.

პირველი სახე ტრაგოედიისა—**მიმეტიური დითირამბია***) ხოლო ტრაგოედია—სატირთა თამაში.

ვილამოვიც: ტრაგოედია—ვაცების ქორო. ვაცი დოროიელთა წარმოდგენაში სატირის განსახიერებაა.

ესხილოს: სატირი=ვაცი.) ვილამოვიც: არისტოტელესის სატირ=ვაცი ნამდვილად ვაცი როდია. ძველი ბერძნები ამგვარად როდი წარმოიდგენდენ სატირს. სატირა წარმოდგენილი იყო ცხენის ჩლიქიან კენტავრის სახით.**).

დემოკრატიულ ათინაში სატირთა ქორო მჭიდროდ უკავშირდება დიონისოს კულტს. არც დიონისოს კულტისა და არც პირველყოფილ ტრაგოედიის წარმოშვება ჯერაც ნათელი არ არის.

უწინარესად ტრაგოედია რელიგიურ მისტიური დღესასწაულია. დიონისო ღმერთი თრობისა დ შვებისა—„ველური ღმერთი“ ამ დღესასწაულის დამფუძნებელია.

ტრაგოედიის ხოროს უსმენს დიონისოს მრევლი. ტრაგოედია შედის ბერძნულ მესსაში. დრამატიულ ხასიათს ტრაგოედია ღებულობს მხოლოდ ათინაში.

534 წ. პესისტრატოს შუაგაზაფხულში დანიშნავს დღეს, ყოველ წლიურად, დიონისოს დღეს სრულდება ტრაგოედია. აქედან ითვლის ბერძნული ტრაგოედია თავის ანალებს. ამ სტადიაში ტრაგოედია თანადროულ დრამას არ წარმოადგენს. მსახიობი და ქორო ჯერაც რელიგიურ შებორკვას განიცდიან.

ათინაში სატირთა თამაში მეტამორფოზას განიცდის. ტრაგოედიის მასალას გმირულ ეპოსიდან იღებენ. შემდეგი ეტაპია ბერძნული ტეტრალოგია=სამი ერთი მეორესთან უკავშიროდ გადაბმული წარმოდგენა, სადაც დიალოგებს ხანგამოშვებით ტრაგედიის ხოროს რეფრენი მოსდევს.

508 წ. ტრაგოედიის ხოროში ათინელი მოქალაქენი მონაწილეობენ. დემოკრატიულ ათინაში ტრაგოედია ხდება სახელმწიფოს მფარველობის ობიექტი. აქვე ისახება ინდივიდუალური დრამა. ესხილოს. სოფოკლეს. ევრიპიდეს. ამ სამი გენიალური პოეტის ხელში გაიზარდა, აყვავდა და გადავიდა ბერძნული ტრაგოედია.

ამ საფუძვლიდან გამოვიდა ძველი რომაელების თეატრი, საშუალო საუკუნოების მისტერიები, რენესანსის და შექსპირის თეატრი.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთი არც ბერძნული და არც ჩვენი გაგების თეატრს არ იცნობდა. ისრაელებს, ასირიელებს, ბაბილონიელებს, არაბებს და ეთიოპიელებს დრამატიული ლიტერატურა არ დარჩენიათ. ძველ არაბებს ერთად ერთი დრამა ჰქონიათ. არც ეგვიპტელებს ჰქონდათ ალბად დრამატიული ლიტერატურა.

მონღოლური მოდგმის ხალხებში ოსმალებს მოეძევათ ჩრდილების თეატრი=ყარაგოზი, ამას ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. იაპონელების ნო—თამაშობანი და მარიონეტული თეატრი ჟორური. მათივე საცეკვაო პანტომიმები—კაბუკი. ეს უფრო პაროდიებია თეატრის. მხოლოდ დასავლეთის ზედგავლენით ჩნდება იაპონიაში თანამედროვე თეატრის ნასახები. უძველეს დროიდან ინდუსტანის ლიტერატურაში ჩნდება ერთგვარი სახიობა, რომელიც ხალხულ მიმუს სჭარბობს თავისი ხელოვნური ტეხნიკით. ამგვარ სახიობას განსაზღვრული ცხოვრების შინაარსი აკლია. სანსკრიტულ ლიტერატურაში ლიტერატურული დრამა მისტიურ—რელიგიოზურ ელფერს ატარებს. ამ მხრით არის ანალოგია ბერძნულ ტრაგოედიასთან. თუ ბერძნული ტრაგოედიის დითირამბები დონისოს ეხმაურებიან, სანსკრიტულ დრამებში მისტიურ-რელიგიური ლექსები შივასადმია * მიმართული.

სანსკრიტული დრამაც ინდოელთა გმირულ დრამიდან (მაჰაბარათა, რამაიანა და სხვ.) იღებს სიუჟეტებს. ინდოელთა თეატრი სისადავით ბერძნულ თეატრს წააგავს. სცენაზე მხოლოდ ერთი მაგიდა და სელის საჯდომია. სცენას დეკორაციები არა აქვს. აქ დრამატურგი მაყურებელის ფანტაზიას ენდობა.

მოქმედებას წინ უსწრებს დიალოგები: მაგ. რეჟისორსა და მის ცოლს შორის. (ისე როგორც ფაუსტის პროლოგში).

ბერძნული თეატრიდან ინდოელთა თეატრი უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ იგი დროისა და ადგილის ერთიანობას არ იცავს. ინდოელთა თეატრმა გავლენა მოახდინა მე-18 საუკუნეში დასავლეთის დრამატურგიაზე, განსაკუთრებით გოეტეზე.

როგორც ინდოეთის, ისე ბერძნული თეატრიც რელიგიურ კულტში პოულობს სათავეს. **თეატრი ძველ ბერძნებისთვის „წმინდა ადგილს“ მოასწავებდა.** ტრაგოედია—რელიგიოზური ხატობის შორეული განვითარებაა. **ათინელი ორნაირ გრძნობას მიჰყავდა თეატრში—ღვთისმოსაობას და ცნობისმოყვარეობას.** ესხილოს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაღედიებში მუდამ „მარადიული ადამიანის“ ღმერთობასთან ჭიდილი იხატებოდა.

ტრაგედიის უმთავრესი იდეა ეს იყო სასჯელისა და დანაშაულის მიუცილებელი შეხვედრა.

ესხილოსისთვის ქვეყანას განაგებდა მძლეთა მძლე, ღმერთის სამართლიანი ხელი. სოფოკლესთვის ეს ყოვლად ძლიერი ღმერთის გამოცხადება იყო, რომ უდანაშაულო ოიდიპოს მეფეს მათხოვრის ყავარჯენის მეტი არაფერი ჩაჰყვა სამარეში; მაგრამ სიკვდილში ხდება მისი სულის ცადამაღლება.

ტრაღიკული ქალწული ანტიგონე მარადიული უფლების დაცვის მსხვერპლია, რადგან ასე უნდოდა ღმერთობას.

თუ ბერძნული ტრაგედია თავის განვითარების პირველ ეტაპში ღმერთი დიონისოს წამებათა და კნებათა გამომსახველია, ესხილოს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიაში: ღმერთობასთან განდობილი ადამიანი და მისი ადამიანური ვნებები, ღვთაებრივი სათნოებანი ხდებიან ტრაგედიის შინაარსი.

ნომოს—ტირანია ევრიპიდეს გმირებისათვის. ნომოს საბედისწერო მიჯნა იყო, ნომოსს მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს და ღვთაების კანონები.

პოეტი ძველ ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც მასწავლებელი, როგორც „დიდას-

*) სადისკუსიო.

*) არისტოტელეს

**) ამ დემონს იონიელები სილენს ეძახდნენ—სილენი—კენტავრი თხის ტყავ წამოსხმული, ცხენის ჩლიქებიანი ქაჯია. სატირთა ხორო პელოპონესში იბადება. შემდეგი განვითარება ტრაგოედიისა ათინაში ხდება.

*) შივა—ქალღმერთი მსოფლიოს წარღვნას ველური ცეკვით გვამცნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტიტოს ხსოვნას

დღეს შესრულდა სრული 2 წელიწადი, რაც გარეწრებმა, თვისი მსახრავი ხელით, უდროოდ გამოასალმეს წუთი-სოფელს, დიმიტრი (ტიტო) ფარესიშვილი.

ტიტო ფარესიშვილი იშვიათი ადამიანი იყო. განსვენებული თვის ქარიშხლიან რევოლიუციონურ ბუნებასთან ერთად საკვირველი ინიციატივის პატრონი იყო და მასთან მეტად ფაქიზი, უანგარო. რასაც კი დაავალებდა მას პარტია ის საქმე უკვე შესრულებული იყო, რასაც სხვა თვის უამრავ ცთობა-გამოცდილებით აღჭურვილი ვერ გაბედავდა თამამად ნაბიჯის გადადგმას, იქ ტიტო ერთი თვალის დახამხამებაზე სჭრიდა საკითხს და თვის ჯადოსნურ ყოფა ქცევით და საქმით აშტერებდა და განცვიფრებაში მოჰყავდა ყველანი. სადაც ზოგიერთნი საზოგადო ქონებას და ავლა-დიდებას აბუჩად იგდებენ და გაუფთხილებლივ ფლანგავენ, იქ ტიტო მეტად ფთხილი, ფაქიზი და უანგარო იყო. და სწორედ ტიტოს ამ შესანიშნავ დადებით მხარეებით აიხსნება ის გარემოება, რომ მან სრულ მოკლე ხანში მიიპყრო ყურადღება, როგორც საბჭოთა მთავრობის ხელისუფალთა ისე ადგილობრივ ორგანიზაციებისა და მას ნიშნავენ მეტად პასუხსაგებ თანამდებობაზე, საცა ის პირნათლად ასრულებს თვის მოვალეობას მშობელ და მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ ისეთ საშიშ მაზრაში, როგორც დუშეთის მაზრაა, საცა მან დღიდან პირველი გადატრიალებისა აზღვავებულ ხალხის სურვილით ჩაიბარა ქალაქის და ამ მაზრის ოავდაცვის საქმე და უმტიკვნელოდ გადავიდა აღმშენებლურ მუშაობაზე მთელ ამ მაზრაში და აამოძრავა ყველა ძალები და გაპარტახებული მივარდნილი ადგილები: წილკნის სარწყავი არხი, საგურამოს კარის სკოლა, ბულაჩაურის ელექტრო სადგური, მცხეთის განათება და მრავალი სხვა.

დღესაც თვალნათლივ ლაღადებენ ტიტოს ინიციატივის შესახებ და ძნელად გამოვა მთელ მაზრაში ისეთი ადამიანი, რომ აღშფოთებით არ მოიხსენიოს ის ნაძირალნი, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებას და ჩვენ პარტიას გამოაცალეს ასეთი ნაყოფიერი და უანგარო და ამ მაზრისთვის უბადლო მუშაკი.

იქნებ გრძნობდა კიდეც განსვენებული ასეთ ტრაღიკულ ბოლოს, მაგრამ ტიტო და საშიშროება ერთმანეთთან ბუნებრივად ვერ თავსდებოდნენ და მწყრალად იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ მის მზრუნველობის კალთის ქვეშ გარდა მეუღლისა დიდი ჯალაბობა იმყოფებოდა უნუგეშო დამწვარი ქვრივი დედით, რომელმაც იგი ქვრივ-ობლობით წვითა და დაგვით გამოზარდა.

ტიტო გულს არ იტეხდა სიკვდილის საშიშროებაზე და ხშირად იმეორებდა ხოლმე მგოსნის სიტყვებს:

„საფლავიმც აუყოვდებათ,
ვინაც გვასწავლა მცნებაო,
კაცი იშობვის ერთ დღესა
და იმავ დღესვე კვდებაო,
კარგი ვაჟკაცი სიკვდილსა
არ როს არ შეუდრკებაო...

დ. პ—ლი.

# პარტიაში

კვირას დილის 10 საათზე პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მეორე რაიკომის კრება. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

— —

— ორშაბათს, ივლისის 16, საღამოს 7 საათზედ პარტიულ კლუბში დანიშნულია ქალთა კრება. ზანსახილველია საორგანიზაციო საკითხები. დასწრება შეუძლია თანამგრძნობ უპარტიო ქალებსაც.

— —

კვირას ივლისის 15-ს 10 საათზე პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია უმუშევარ პარტიულ ამხანაგების. კრება დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

# ქალ. ტფილისის მოსახლეობა 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერით

(გაგრძელება)

უკანასკნელ წერილში ჩვენ საერთოდ შევეხეთ ეროვნულ შემადგენლობას. განვიხილოთ იგი უფრო დეტალურათ.

წინა წერილში ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ტფილისში ადგილი აქვს საგრძნობ იმიგრაციას.

აი სწორედ ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ შემადგენლობის განხილვის დროსაც.

შევხედოთ ახლა ქვემოდ მოყვანილ ცხრილს და ვნახოთ, რას გვეტყვის იგი:

**ტფილისის მოსახლეობა ეროვნების და წლოვანების მიხედვით.**

| ეროვნება | წლოვანება: 0—19 აბსოლ. | 0—19 % | 20—59 აბსოლ. | 20—59 % | 60 და ზევით აბსოლ. | 60 და ზევით % | გამოურკ. აბსოლ. | გამოურკ. % | საერთოდ აბსოლ. | საერთოდ % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 31.555 | 39,5 | 44.081 | 55,2 | 4.308 | 5,1 | 128 | 0,2 | 80.072 | 100 |
| სომეხი | 34.937 | 41,0 | 43.816 | 51,4 | 6.459 | 7,5 | 50 | 0,1 | 85.262 | 100 |
| რუსი | 12.547 | 32,7 | 23.362 | 61,0 | 2.380 | 6,2 | 37 | 0,1 | 38.326 | 100 |
| აზერბაიჯ. | 1.511 | 46,4 | 1.576 | 48,4 | 159 | 4,9 | 9 | 0,3 | 3.255 | 100 |
| აბხაზები | 40 | 56,3 | 30 | 42,2 | 1 | 1,5 | — | — | 71 | 100 |
| ებრაელები | 3.740 | 42,7 | 4.475 | 51,1 | 543 | 6,1 | 8 | 0,1 | 8.766 | 100 |
| გერმანელ. | 667 | 26,8 | 1.526 | 61,4 | 291 | 11,7 | 2 | 0,1 | 2.486 | 100 |
| ბერძნები | 500 | 39,8 | 688 | 54,7 | 69 | 5,5 | — | — | 1.257 | 100 |
| ოსები | 616 | 43,1 | 757 | 53,0 | 54 | 3,8 | 1 | 0,1 | 1.428 | 100 |
| პოლონელები | 622 | 27,6 | 1.422 | 63,2 | 202 | 9,0 | 4 | 0,2 | 2.250 | 100 |
| სპარსელები | 1.620 | 40,7 | 2.159 | 54,3 | 198 | 5,0 | 2 | 0.0 | 3.979 | 100 |
| კავ. დან. ეროვნება | 72 | 37,7 | 111 | 58,1 | 6 | 3,1 | 2 | 0,1 | 191 | 100 |
| დანარჩენი ეროვნებანი | 2.069 | 39,2 | 2.855 | 54,1 | 343 | 6,5 | 7 | 0,2 | 5.274 | 100 |
| გამოურკვეველი | 98 | 62,4 | 38 | 24,2 | 2 | 1,3 | 19 | 12,1 | 157 | 100 |
| ს უ ლ | 90.594 | 38,9 | 126,896 | 54,5 | 15.015 | 6,5 | 269 | 0,1 | 232,774 | 100 |

საგულისხმოა ეს ცხრილი იმითაც, რომ თუმცა, როგორც დავინახეთ, საერთოდ ტფილისი იმიგრაციის გავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ როცა ეროვნებათა ცალ-ცალკე განხილვას შეუდგებით, უკვე ყველასათვის იმიგრაციის ფორმულა ვერაა მისაღები.

იმიგრაცია ყველა ეროვნებაზე ერთნაირათ არა ვრცელდება. აი საგულისხმო მაგალითი ზემოაღნიშნულ ცხრილიდან: აფხაზები არამც თუ გადმოსახლებისაკენ მოისწრაფიან, არამედ აქედან აფ-

---

მავთული), რომლებიც შესწორებულია მერიდიანზე და მათი მგრძნობელობაც გამორკვეულია. ბ) ედელმანის მაგნიტომეტრები, რომელნიც სისწორით არ მუშაობდენ, გაწმენდილია და დაყოფილია გრადუსებათ. ამგვარად საავიაციო სარდაფი სრულებით მოწესრიგებულია და მისი ჩვენებანი და ჩანაწერნი სავსებით სარწმუნონი არიან. გ) რაც შეეხება აბსოლიუტურ დაკავშირებათა პავილიონს, მისი ხელსაწყოები ისე დიდხანს იყო მოუვლელად, რომ საჭირო გახდა მათი სრულებით დაშლა და საფუძვლიანი შეკეთება; აღნიშნული ხელსაწყოების ადგილზე დადგმა და გრადუსებათ დაყოფა მოხდება თვით სადგომის შეკეთების შემდეგ, რომელიც დაზიანებულია.

10) სამეცნიერო მუშაობა: ა) სინოპტიური განყოფილება ფიზიკოსის ბერშერტის ხელმძღვანელობით იმუშავებს ადგილობრივ ნიშნებს ამინდის მოკლე ხნით (24 საათით) საწინასარმეტყველებლად. ეს მუშაობა დამთავრდება და გამოქვეყნდება მომავალი თვის შუა რიცხვებში. ბ) დირექტორი პროფ. დიდებულიძე იმუშავებს მასალას ამინდის საწინასარმეტყველებლათ პერიოდებით და ამინდისავე მიმოსახილველათ სეზონობით, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გამოსარკვევათ. გ) პროფ. დიდებულიძე აწყობს აგრეთვე სამეცნიერო, ფიზიკურ და გეოგრაფიულ ექსპედიციას ყაზბეგის მთაზე. ეს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია არის ყაზბეგზე. ამ ჟამად ექსპედიციის გეოგრაფიული ნაწილის მოწყობა თითქმის დამთავრებულია და ნახევრად შემუშავებულია სამეცნიერო ნაწილი, ექსპედიცია ყაზბეგზე გაემგზავრება ივლისის შუა რიცხვებში, ან აგვისტოს დამდეგს.

(„კომ.“)

---

კოლოს“. თეატრი მათთვის წმინდა ადგილი იყო სადაც ხალხი სულიერ ამაღლებას და ღვთაებრივ განსწავლას ღებულობდა. აქ ხდებოდა ცად ამაღლება სულობის--ღმერთობისაკენ. ამგვარად ბერძნებისათვის თეატრი მარტო სანახაობა როდი იყო, არამედ დიონისოს ღმერთის წმინდა ტაძარი. ამ ტაძარში თანასწორად ქურუმი იყო, როგორც ტრაგედიის ავტორი—პოეტი, ისე ტრაგედიის გმირი—წამიერად მსახიობი. ბერძნული ტრაგედია კვდება როგორც კი ტრაგედიის ავტორს რელატივიზმი შეეპარა. იგი სანახაობის და ყოფა ცხოვრების კომედიაში გადაგვარდა. ისპობა რწმენა ტრაგიკულ გმირისადმი, ილუპება ტრაგედია. ილუპება თეატრი. ბერძნული თეატრი და ბერძნული ტრაგედია მისტიურ რელიგიოზური კულტზე წარმოიშვა და როგორც კი ხსენებული ფონი მას გამოეცალა, ბერძნულმა ტრაგედიამაც თავის მწუხრიც იგრძნო.

ატიკური დრამის უდიდესი მტერი იყო ქრისტიანობა. ქრისტიანობის განმკვიდრებით დასავლეთში ისპობა ბერძნული ტრაღედიის ზედგავლენა.

საშუალო საუკუნეებსაც ახსოვს თავისი თეატრი. განვითარება ყოველთვის პირდაპირი და პროგრესიული ხაზების მიმდევნო როდია, არამედ იგი უფრო მეტად ზიგ ზაგებით მიდის.

საშუალო საუკუნოებში ისპობა პიროვნების კულტი. ბერძნული კულტურა უაღრესად ინდივიდუალისტური იყო. ქრისტიანული რელიგიის ფონზე გადაშლილი ცხოვრება მარადიული ადამიანის პიროვნების ნაცვლად ღმერთის პიროვნებას სახავს უმთავრესი ყურადღების ობიექტად. ახლა თეატრში ქრისტეს წამებასა და ვნებებზე მეტყველებენ. ან არა და აპოკალიპსიდან ნასესხებ სიუჟეტებს. ანტიქრისტეს მოსვლა. იწყება მისტერიების (minis-[illegible]=ღვთისმსახურება) პერიოდი.

იტალიანური რენესანსი ისევ აღვიძებს ნებისყოფას ბერძნულ ტრაგედიისადმი.

რენესანსმა ძლიერად იგრძნო ბერძნული მემკვიდრეობის მითვისების საჭიროება. იტალიანური რენესანსი ამ მხრით საბედისწერო უღელტეხილია. არენაზე გამოდის ისევ „მარადიული ადამიანი“ თავისი უდავო პრეტენზიებით. თუ ანტიკის ადამიანი „ნომოს“ ფატალურ წრეს ვერ გადაცილებოდა, თუ ევრიპიდეს და ესხილოს გმირები ღვთაების სუნთქვას განიცდიდენ-როგორც წერას, როგორც მოირას, რენესანსის ადამიანი ცდილობს ღვთაების ხელით შეწერილი ჯადოსნური გარსი გაარღვიოს. ახლა მარადიული ადამიანი ღმერთს როდი ერკინება, არამედ ცდილობს მეტოქეობა გაუწიოს ღმერთობას.

ისეთი ტიტანიური პიროვნებების გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე, როგორიც ჩეზარე ბორჯია, ნიკოლო მაკიაველი, წინამორბედი იყო ახალი დიდი ინდივიდუალისტური კულტურის წარმოშვებისა. რენესანსის იდეოლოგიამ გაჰბედა და აღიარა რომ ადამიანის ვნებები და სულიერი ტკივილები ისეთივე ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია, როგორც ჰომერისა და ევრიპიდეს ღმერთების კაპრიზები.

ქვატროჩენტოს მიწურულში მრავალი ანტიკური ტრაღედია ითარგმნება.

ჩვენ ვიცით, რომ პლატოს დიალოგებს საფუძვლად დაედო ბერძნული ტრაგედიების სტილისტური ტეხნიკა. გარდა ამისა პლატოს იდეური სამყარო ეს იყო ბრონჯაოს ჩარჩო მთელი ბერძნული კულტურისა. რენესანსი ისევ ითვისებს პლატოს ღვთაებრის იდეებს, ასე იკაფავს გზას ბერძნული ტრაგედია რენესანსის ადამიანობის შეგნებაში.

ამგვარად რენესანსის დროს ეყრება საფუძველი ნამდვილი ევროპიული გაგების დრამატურგიასა და თეატრს. კომედიისა და ტრაგედიის გარდა მე 16 საუკ. იტალიაში იწერება მთელი რიგი მწყემსურ იდილიებისა. ტასსოს—ამინტა (1572) ბატისტა გუარიანის—il pastor fido—ერთგული მწყემსი. (1581.) ჩინქვანჩენტოს (მე 15 საუკ.) მიწურულში ჩაისახა იტალიანური ოპერა—opera per musica

დასავლეთის თეატრს ამგვარად პირველად იტალიანური რენესანსის დროს ჩაეყარა საფუძველი.

დღეს უკვე სადაო აღარ არის, რომ ანტიკასა და დასავლეთს შორის გაუვალი ზღვარია. სულ სხვა იყო ფონი ბერძნული კულტურის და სულ სხვა ფონზე წარმოიშვა დასავლეთის გერმანთა კულტურა.

**2 დრამატურგი.**

(შექსპირი)

ბერძნული კულტურის ფონი პროვინციალური იყო.

მისი ფარგლები ვიწროდ შეწერილი. ჰომერისა და ევრიპიდეს ქვეყანას აკლდა ის დიდი ტემპი და გაქანება, რომელიც ახასიათებს დასავლეთს. მართალია თავისი ინტენსივობით ჰომერის ქვეყანა ძლიერი იყო, მაგრამ მისი ჩარჩო ფრიად ვიწრო, მისი სამყაროში გამოხედვა—შეზღუდული.

ის ნათელი, რომელიც იტალიანურმა რენესანსმა გადაისროლა ევროპიული კონტინენტის ყველა მიმართულებით, საოცარის მშვენებით გადატყდა გერმანთა ხალხების შემოქმედებაში... ამ ანტიკისაგან ნაანდერძები ნათელისა და ანგლო საქსონურ ეროვნულ გენიის შეუღლებამ მოგვცა უილიამ შექსპირის ტიტანიური ფიგურა. ჩვენ ქართველებს ჯერაც არ გვიგრძვნია შექპირის პოეზიის დემონის ცხელი სუნთქვა, თუმცა ქართველმა მაჩაბელმა უკვდავი ძეგლი აუგო შექსპირს ქართულ ენაზე. ამ ძეგლს ჯერაც დავიწყების მტვერი არ შემოსცლია, ჯერ კარგად ნათამაშები შექსპირი ქართულ სცენას არ უნახავს, არც შექსპირის სათანადო გამოცემა მოგვეპოება დღემდის. *)

შექპირში მოხდა კონცენტრაცია მთელი, მის დრომდე არსებულ თეატრალურ გზებისა, ტრადიციების, ტეხნიკისა და სტილისა. შექსპირი ამიტომაც უმთავრესი ბურჯია დასავლეთის თეატრის. შექსპირიდან გამოვიდა ყველა ევროპიულ ერების ნაციონალური თეატრები. შექსპირი იყო ყველა მისი მომდევნო საუკუნოების დრამატურგებისა და მსახიობების მასწავლებელი.

გოეტემ თავის შტრასბურგელ სიტყვაში აღიარა:

„მე განუსაზღვრელად გავიზარდე, როცა მას შევეხე, ყველაფერი რაც მასში ვნახე ჩემთვის უცნობი, ახალი და საოცარი იყო და ამ უჩვეულო სინათლემ, ამ უჩვეულო ელვარებამ მე თვალები მატკინა“. (გოეტე)

ყოველი დიდი გენიოსი დიდია თავისი მემკვიდრეობითაც. შექსპირი მემკვიდრე იყო ანტიური ტრაგედიისა და საშუალო საუკუნოების მისტერიების, ისე ადრე და გვიან რენესანსის თეატრალური კულტურის.

მემკვიდრე იყო შექსპირი როგორც თეატრალური ტეხნიკოსი, მაგრამ მასში იყო ერთი რამ ახალი და ჯერ არ ყოფილი, გერმანული სული. ეს არაფრითა ჰგავს ევრიპიდეს, ესხილოს და სოფოკლეს ტრაგედიების სულს. ეს ის სულია, რომელზედაც გოეტე ამბობდა: Zum qrencenlosen, grencenlos Vertrauen. ეს სული ქანაობს მარიონეტივით უფსკრულებსა და უფსკრულებს შორის, ეს მარად იჭვნეული ჰამლეტის სულია; ბერძნული ტრაგედიის ვერც ერთი გმირი ვერ ჩასწვდება იმ უფსკრულებს, რომელნიც ტკივილებს აწვდიდენ დანიის მელანქოლიურ პრინცს. ბერძნები მუდამ დიდი ბავშვები იყვნენ—ღვთაებრივობის არტახებით შებოჭვილი ბავშვები.

მისი მსოფლიო შეგნება უაღრესს სკეპტიციზმსა და პესიმიზმს საზღვრავს. ასე ბნელად არავის ულაპარაკნია ჯერ მსოფლიო ლიტერატურაში, ასე ღრმად არავინ ჩაწვდომია ადამიანის სულის უფსკერო ლაბირინტს, შექსპირზე უფრო ბნელ სიტყვას ვერავინ ეტყვის ადამიანის გულს.

გასაოცარია მისი კოლოსალური მსოფლიო შეგნება, უფრო გასაოცარი მისი გონების სიმახვილე, მისი გენიალური შეგრძნობა, მისი ტიტანიზმი ასეთი ფართე და ვრცელი პანორამები ადამიანისა და ბუნების სტიქიონებისა, ასე გულთმისნურად განზრახული ინტრიგა—ჯერ პოეტს არ გადაუტანია თეთრზე.

შექსპირს გამოეხმაურა მე-18 საუკუნის ტიტანი გოეტე, შექსპირს გამოელაპარაკა შტურმისა და დრანგის ახალი თაობა. შექსპირსავე გამოელაპარაკა ფრანგული დრამატურგია, ლესსინგი და რომანტიკოსები. ჩვენ თანამედროვეობასაც შექსპირმა ასწავლა **ხანჯლებით ლაპარაკი**, რადგან ჩვენ დროს სიტყვების მოსასმენი ნერვები აღარა აქვს.

მესამე საუკუნეა რაც შექსპირის თამაშობენ —უკვირთ რომ შექსპირის თამაში არ თავდება. გასულ წელს გერმანიის სხვა და სხვა თეატრებში 2.000 ჯერ უთამაშნიათ შექსპირი.

ინგლისელები ამბობენ: The truth ist that his best things are not very effective on the stage=მართლაც და მისი შედევრები არც ისეთ გავლენას ახდენენ სცენაზე. ეს შექსპირის არა თეატრალობით როდი აიხსნება. დიდი მსახიობი ისევე იშვიათად იბადება, როგორც დიდი პოეტი. გენიალურ პოეტს მხოლოდ კონგენიალური მსახიობი თუ განასახიერებს. სხვა მიზეზებიც არის: ჩვენ ვერ მოვისმენთ აწი ჰამლეტის და მეფე ლეარის მონოლოგებს. ამბობენ ერთნი. ეს მიზეზი გაცილებით ღრმაა. ჩვენი თანადროულობა ორგანიულად დაშორებულია შექსპირის უბედურ „გვირგვინოსნებისაგან“. ჩვენი თანამედროვე თაობა ფსიხოლოგიურად დაცილებულია შექსპირის ადამიანებისაგან. სულ სხვაა თანადროულობის ფონი, სულ სხვა იყო ის ფონი, რომელზედაც წარმოიშვენ შექსპირის გმირები. ამით აიხსნება ჩვენსა და შექსპირს შორის არსებულ უფსკრულის გაღრმავება.

**კონსტ. გამსახურდია.**

სატახტო ქალაქი.
1923 წ. ივნისი.

*) ამბობენ სახელმწიფო გამომცემლობა აპირებს შექსპირის გამოცემას. ჩვენ მივაქცევთ ამ საქმის ინიციატორების ყურადღებას, რომ მაჩაბლის შექსპირს რევიზია სჭირია. საჭიროა მისი შედარება ორიგინალთან. გარდა ამისა წიგნს უნდა დაერთოს რიგიანი მონოგრაფიები შექპირზე. ამ მიზნით საჭიროა შექსპირის სპეციალისტების შემოკრება ამ დიდი საქმის გარშემო. იმედია ჩვეულებრივი ნათელმირონობას არ გამოიჩენენ ამ შემთხვევაში

ქ. გ.

ხაზეთში მიემგზავრებიან. მაგალითად: აფხაზი ბავშვები 0—19 წლ. ტფილისში შეადგენენ 56.3 პრ., ხოლო მომუშავე ჰასაკი, ე. ი. 20—59 წლ.—42.2 პროც.; ამნაირად ტფილისში მომუშავე ჰასაკის პრ. გაცილებით დაბლა სდგას, ვიდრე ბავშვების პროც., ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ბუნებრივი ზრდა მათი ტფილისში ძლიერ დიდია, ხოლო იქ, სადაც ბუნებრივი ზრდა დიდია, ადგილი აქვს ემიგრაციას და არა იმიგრაციას.

ეს გასაგებიც უნდა იყოს: აფხაზეთი ავტონომიურ სახელმწიფოთაა გამოცხადებული და ხალხი უკანვე თავის სამშობლოში მიილტვის.

გადავიდეთ ახლა სხვა ეროვნებებზე. ცხადია, აქ უპირველესად ყოვლისა იმათზე უნდა ვილაპარაკოთ, რომელნიც ტფილისში დიდ პროცენტს შეადგენენ და რომელთა გავლენა მცხოვრებთა ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე დიდია. ესენი არიან ქართველები, სომხები და რუსები.

შევუდგეთ ამ რიცხვის განხილვას.

მათი პროც-ლი დამოკიდებულება წლოვანებათა მიხედვით ასეთია:

| ეროვნება | წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა 0—19 | 20—59 |
|---|---|---|
| ქართველები | 39,5 პროც. | 55,2 პროც. |
| სომხები | 41,0 პროც. | 51,4 პროც. |
| რუსები | 32,7 პროც. | 61,0 პროც. |

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ტფილისში ყველაზე დაბლა ბუნებრივი ზრდა სდგას რუსების—32,7 პროც., შემდეგ ქართველების—39,5 პრ., ბოლო უკანასკნელად სომხების—41,0 პროც.

ამნაირად იმიგრანტები უმთავრესად ყოფილან რუსები, შემდეგ ქართველები, ხოლო უკანასკნელად სომხები.

საზოგადოდ თეორიაში განირჩევა იმიგრაცია შინაგანი და გარეგანი. შინაგანი იმიგრაცია იგივე მცხოვრებთა გადანაცვლებაა სახელმწიფოს ფარგლებში. ხოლო გარეგანი, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოსაკენ გარედან მოილტვიან მცხოვრებნი.

ვნახოთ ახლა ამ მხრივ, ვინ არიან ტფილისის იმიგრანტები ეროვნებათა მიხედვით, უმთავრესად თვით საქართველოს ფარგლებში დაბადებულნი, თუ საქართველოს გარეშე დაბადებულნი.

ამისათვის განვიხილოთ ცალკ-ცალკე შემდეგი ცხრილები:

საქართველოში დაბადებულნი ეროვნებისა და წლოვანების მიხედვით:

წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა

| ეროვნება | საერთოდ აბსოლ. | $^0/_0$ | 0—19 აბსოლ. | $^0/_0$ | 20—59 აბსოლ. | $^0/_0$ | 60 და მეტი აბსოლ. | $^0/_0$ | გამოურკ. აბსოლ. | $^0/_0$ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 77418 | 100 | 30072 | 38,8 | 42976 | 55,5 | 4243 | 5,5 | 127 | 0,2 |
| სომეხი | 51732 | 100 | 24974 | 48,3 | 23104 | 44,7 | 3637 | 7,0 | 17 | — |
| რუსი | 19445 | 100 | 9295 | 47,8 | 9.268 | 47,6 | 879 | 4,6 | 3 | — |
| აზერბეიჯანელი | 2390 | 100 | 1290 | 54,0 | 999 | 41,8 | 99 | 4,2 | 2 | — |
| აფხაზი | 70 | 100 | 40 | 57,1 | 30 | 42,9 | — | — | — | — |
| ებრაელი | 4.968 | 100 | 2811 | 56,6 | 1923 | 38,7 | 232 | 4,7 | 2 | — |
| გერმანელი | 1431 | 100 | 542 | 37,9 | 790 | 55,2 | 99 | 6,9 | — | — |
| ბერძნები | 700 | 100 | 328 | 46,9 | 350 | 50,0 | 22 | 3,1 | — | — |
| ოსები | 1325 | 100 | 574 | 43,3 | 700 | 52,8 | 51 | 3,9 | — | — |
| პოლონელი | 883 | 100 | 457 | 51,8 | 400 | 45,3 | 25 | 2,9 | 1 | — |
| სპარსელი | 1740 | 100 | 1149 | 66,1 | 553 | 31,8 | 36 | 2,1 | 2 | — |
| კავ. დან. ერ. | 49 | 100 | 29 | 59,2 | 20 | 40,8 | — | — | — | — |
| დანარჩ. ეროვნ. | 1535 | 100 | 1140 | 74,3 | 377 | 24,6 | 17 | 1,1 | 1 | — |
| გამოურკვეველი | 99 | 100 | 74 | 74,8 | 14 | 14,1 | 2 | 2,0 | 9 | 9,1 |
| ს უ ლ | 163.785 | 100 | 72775 | 44,5 | 81504 | 49,7 | 9342 | 5,7 | 164 | 0,1 |

ამ ცხრილიდან, რასაკვირველია, ბევრს რამეს ვხედავთ.

მაგალითად: იმ დროს, როდესაც ქართველების საერთო პროცენტიული დამოკიდებულება წლოვანებათა მიხედვით—0—19 წლ. უდრის 39,5 პროცენტს, ხოლო 20—59 წლ. უდრის 55,2 პროც., საქართველოში დაბადებულთა შორის უკვე ვღებულობთ 0—19 წ.—38,8 პროც. და 20—59 წლ.—55,5 პროც. ამ ნაირად, უმთავრესად, თვით საქართველოს ფარგლებიდან მოისწრაფიან ქალ. ტფილისში ქართველები, ვინაიდან, როგორც ამ ცხრილიდან და ზემო მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, მხოლოდ 2654 ქართველია ჩამოსული საქართველოს გარედან.

ეს კი ისე დიდი ციფრი არაა, რომ მას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ. რა არის მიზეზი ქართველების იმიგრაციისა ტფილისში?

მიზეზი პოლიტიკური გარემოებებია, მაგ., საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაა უმთავრესად, და სხვ. შევეხოთ ახლა ჩვენს მეზობლებს სომხებს. აქ უკვე სურათი საგრძნობლად იცვლება.

ზემომოყვანილ ცხრილში სომხების 0—19 წლ. ჯგუფი 48,3 პროც. შეადგენს, ხოლო 20—59 წლ. 44,7 პროც. გამოდის თითქოს, რდესაც მხოლოდ საქართველოში დაბადებულთ ვღებულობთ, სომხები ემიგრაციის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ ეს ასე არ არის, რატომ მოხდა ასეთი წინააღმდეგობა: ეს ძალიან ადვილი გასაგებია. ძალიან დიდ პროც. იმიგრანტებისას წარმოადგენენ საქართველოს გარეშე დაბადებულნი, რასაც ქვემოთ მოყვანილ ცხრილიდან ადვილად დავინახავთ. სწორედ ამ იმიგრანტებმა მოახდინეს დიდი გავლენა საქართველოში დაბადებულთა შორის პროცენტიული ურთიერთობის ანორმალურ დამოკიდებულებაზე.

საქართველოში დაბადებულთა 0—19 წლიან ჯგუფში ბევრნი შევიდნენ ის ბავშვები რომელთა მშობლებიც საქართველოს გარეშე დაბადებულნი არიან, ასე რომ ეს უკანასკნელნი საქართველოს გარეშე დაბადებულებში შევიდნენ, ხოლო მათი შვილები კი საქართველოში დაბადებულთა რიცხვში. ამან გამოიწვია უმთავრესად ცხრილში გარეგანი შეუსაბამობა.

ესევე ითქმის რუსების შესახებაც. იმიგრანტრუსები უმთავრესად საქართველოს გარეშე დაბადებულნი არიან და დიდ გავლენას ახდენენ საქართველოში დაბადებულ რუსების წლოვანებათა შორის არანორმალურ დამოკიდებულებაზე, რომ ეს საკითხი უფრო ნათელი გახდეს მოვიყვანოთ ცხრილი საქართველოს გარეშე დაბადებულთა წლოვანებისა და ეროვნების შესახებ:

წ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა

| ე რ ო ვ ნ ე ბ ა | 0—19 აბსოლ. | $^0/_0$ | 20—59 აბსოლ. | $^0/_0$ | 60 და მეტის აბსოლ. | $^0/_0$ | გამოურკვ. აბსოლ. | $^0/_0$ | საერთოდ აბსოლ. | $^0/_0$ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველები | 1483 | 55,9 | 1105 | 41,6 | 65 | 2,5 | 1 | — | 2654 | 100 |
| სომხები | 9963 | 29,7 | 20712 | 61,8 | 2822 | 8,4 | 33 | 0,1 | 33530 | 100 |
| რუსები | 3252 | 17.2 | 14094 | 74,7 | 1501 | 7,9 | 34 | 0,2 | 18881 | 100 |
| აზერბაჯ. | 221 | 25,6 | 577 | 66,7 | 60 | 6,9 | 7 | 0,8 | 865 | 100 |
| აბხაზები | — | — | — | — | 1 | 100 | — | — | 1 | 100 |
| ებრაელები | 929 | 24,5 | 2552 | 67.1 | 311 | 8,2 | 6 | 0,2 | 3798 | 100 |
| გერმანელები | 125 | 11,8 | 736 | 69,8 | 192 | 18,2 | 2 | 1,0 | 1055 | 100 |
| ბერძნები | 172 | 30,9 | 338 | 60,7 | 47 | 8,4 | — | — | 557 | 100 |
| ოსები | 42 | 40,8 | 57 | 55,3 | 3 | 2,9 | 1 | 1,0 | 103 | 100 |
| პოლონელები | 165 | 12,1 | 1022 | 74,8 | 177 | 12,9 | 3 | 0,2 | 1367 | 100 |
| სპარსელები | 471 | 21,0 | 1606 | 71,7 | 162 | 7,3 | — | — | 2239 | 100 |
| კავ. დან.ეროვ. | 43 | 30,3 | 91 | 64,1 | 6 | 4,2 | 2 | 1,4 | 142 | 100 |
| დან. ეროვ. | 929 | 24,8 | 2478 | 66,3 | 326 | 8,7 | 6 | 0,2 | 3739 | 100 |
| გამოურკვევ. | 24 | 41,4 | 24 | 41,4 | — | — | 10 | 17,2 | 58 | 100 |
| ს უ ლ | 17,819 | 25,8 | 45,392 | 65,8 | 5.673 | 8,2 | 105 | 0,2 | 68,989 | 100 |

ამნაირად, ორ უკანასკნელმა ცხრილმა ასეთი დასკვნა მოგვცა: არა ნორმალური დამოკიდებულება წლოვანებათ შორის ამ ორ ცხრილში ცალ-ცალკე გამოიწვია უმთავრესად, როგორც ზემოთ ჩვენა ვთქვით, ამ გარემოებამ, რომ საქართველოს გარეშე დაბადებულთა შვილები! სომხების, რუსების და სხვანი შევიდნენ საქართველოში დაბადებულთა ჯგუფში, ხოლო თვითონ კი (საქართველოს გარეთ დაბადებულნი) საქართველოს გარეშე დაბადებულთა ცხრილში.

ეს გარემოება უფრო ნათელი გახდება, როდესაც დამუშავდება მასალები საქართველოს გარეშე დაბადებულთა შესახებ, მათი ტფილისში ყოფნის ხანგრძლივობაზე და სხვა.

არა ნაკლები საყურადღებო იქნება საკითხის გასაშუქებლად იმიგრანტების განჯგუფება პროფესიის მიხედვით. ამის შესახებაც ცნობები ც. ს. ს. დამუშავების განყოფილებაში მუშავდება. დამუშავებისთანავე შევეცდებით ის ცნობებიც მოკლეთ მაინც გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს.

დასასრულ მინდა შევეხო ამხ. რუხაძის, ფერაძის და სხვა ავტორების წერილებს*).

ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა შემთხვევა დაგვემტკიცებინა, რომ 1917 წ. აღწერაზე დამყარება შეუძლებელია, ხსენებული ავტორები კი ამ აღწერის შედეგებს დაემყარნენ უმთავრესად და ამით აიხსნება ჩვენის აზრით მათი შემცდარი დასკვნები.

1917 წლის აღწერა, როგორც უკვე ც. ს. ს. ოფიციალურ ცნობებში ნათქვამი („კომუნისტი" № 150), არამც თუ არა ნორმალურ პირობებში იყო მოხდენილი, არამედ ჩვენ უფრო [illegible] მეტს ვიტყვით, ეს იყო მცხოვრებთა უბრალო [illegible] სასურსათო მიზნით.

ჩვენის აზრით [illegible] დიდი ყურადღება უნდა მიექცია თავის პირველ წერილის ბოლოში მოყვანილ [illegible] ცნობებისათვის, ვინაიდან, როგორც ვხედავთ ამხ. რუხაძის წინამეტყველება ეროვნებათა შორის პროცენტული დამოკიდებულების შესახებ თითქმის ზედმიწევნით გამართლდა, მაგრამ მან ამ ცნობებს გაკვრით შეეხო და უმთავრესად დაეყრდნო 1917 წლის აღწერას.

ე. ჯანდიერი.

*) იხ. „ზარია ვოსტოკა" № 104, „კომუნისტი" № 120 და სხვა ნომრები.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტფილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში

სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება ყველა ფაკულტეტებზე 10 აგვისტოდან და დამთავრდება 5 სექტემბერს.

განცხადებანი მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: 1 პედაგოგიურზე, (განყოფილებები: სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო—საბუნების მეტყველო და ქიმიო-ფარმაცევტიული) 2. სამკურნალოზე, 3: აგრონომიულზე (განყოფილებები: სატყეო და სასოფლო-სამეურნეო), 4. სოციალურ-ეკონომიურზე (განყოფილებები: სოციალური და ეკონომიური), 5. პოლიტეხნიკურზე (განყოფილებები: სამთო-მადნო, სამშენებლო და მექანიკური).

სიბრძნის მეტყველების განყოფილებაზე

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა მოიხსენიონ განცხადებაში—რომელი დარგი სურთ:

ისტორიული, სიტყვიერების, ფილოსოფიური, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიური, თუ ხელოვნების.

პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხულ იქმნებიან მხოლოდ ისინი ვინც უნივერსიტეტთან ჩააბარებს გამოცდას ელემენტარულ მათემატიკაში (ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია) და ფიზიკაში სამკურნალოზე ვინც ჩააბარებს ფიზიკასა და ქართულ თხზულებაში

განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს შემდეგი საბუთები (თვით დედანი და ორი შემოწმებული პირი თვითეულ საბუთისა): 1. საშუალო განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი (თხელ ქაღალდზე გადაღებული) და 5. ორ მილიონ ნახევარი მანეთი. გამოსაცდელმა პირებმა წინასწარ უნდა წარმოადგინონ ნახევარი მილიონი მანეთი გამოცდების ჰონორარად. ჩასარიცხავი გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს. პოლიტეხნიკურ და სამკურნალო ფაკულტეტების პირველ კურსზე ჩარიცხვის მსურველები უნდა გამოცხადდენ უნივერსიტეტში ჯგუფებად განაწილებულნი 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა

3—1.

ტფილისის

აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება

ამით აცხადებს ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ რაიმე მწვავე გადამდებ ავადმყოფობის გაჩენისთანავე უნდა აცნობონ სანიტარულ ექიმებს სათანადო ზომების მისაღებათ, თანახმად ქვემო მოყვანილ სიისა.

1. მაჩაბელი ვახტანგი—სლეპცოვის ქ. № 4
2. არდაზიანი პავლე—მელიქიშვილის ქ, № 12, ტელ № 61—01.
3 არდაშვილი კონსტანტინე—ბელინსკის ქ № 26.
4. ქიქოძე მიხეილი—სასამართლოს ქ. № 11.
5 ხატისოვი ნიკოლ.—ნიკოლოზის ქ. № 7.
6 ჯაფარიძე ვალერიანე—კახეთის ქ. № 2.
7. შენგელია ეპიფანე—კახეთის ქ. № 2. ტელეფ № 7—13.
8. წერეთელი ლევანი—კრილოვის ქ № 15. ტელ. № 6—36.
9. ნათიშვილი გიორგი—მონუმენტის ქ. № 5. ტელ. № 4—87
10. ვეფხვაძე მიხეილი—მიმოსვლის ქ № 19. ტელ № 10—46.
11. ტერ-დავიდიანი მარიამი—ჩერქეზიშვილ. ქ. № 34 ტელ. № 15—83.
12 ჩოტირელიძე ვარლამი—საპიორის ქ № 36

№ 384 1—1

ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 457
სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.